საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2015 წლის 19 მაისის
დადგენილება № 1557

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის #133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ 10-ე მუხლის, სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2014 წლის „29“ იანვრის #46 სხდომის #1 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ“ დებულებისა და აგრარული მეცნიერების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის საბჭოს 2015 წლის 13 მაისის #1 სხდომის ოქმის საფუძველზე **აკადემიური საბჭო ადგენს:**

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის შექმნასთან დაკავშირებით აკადემიურ საბჭოში ფაკულტეტის ორი წარმომადგენლის ასარჩევად დაინიშნოს არჩევნები;
2. წარედგინოს რექტორს წინადადება აკადემიური საბჭოს წევრის 2 ვაკანტურ ადგილებზე არჩევნების გამოცხადების თაობაზე.
3. დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე

\